ხელშეკრულება № 11

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ფუთი 5.12.2016 წ.

ერთის მხრივ, ფუთის მუნიციპ. №2 საჯარო გიმნაზიის საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორი ეკატერინა ჩიკვაიძის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. GT Group (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ცოტნე ხატისაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულებისსაგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ქიმიური რეაქტივების ნაკრების შეძენა და სკოლის ლაბორატორიისთვის მიწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ {CPV 243000000}.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულებისსაგნისღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 130 ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1.საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 5სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან2 დღეში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, შემსყიდველის მისამართზე ფუთის მუნიციპ. №2 საჯარო გიმნაზიის საჯარო სკოლა.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

გ) ამ მუხლის 5.3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი და სათანადოდ შეფუთული, საქონელი.

გ) შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს2 სამუშაო დღისა განახორციელოს უხარისხო საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა ან შეკეთება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწ ილის შე უსრულებლობის შემთ ხვევაში შემს ყიდველი უფ ლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშ+ეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშიამისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის31დეკემბრამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

მიმწოდებელი
შ.პ.ს"GT Group"

მისამართი: თბილისი, ჩაჩავას ქ. 8;

საიდენტიფიკაციო კოდი: **401975190**
საბანკო რეკვიზიტები
საბანკო კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორებისანგარიში:
GE08TB7990336080100002

დირექტორი

შემსყიდველი

სოფ. სოფელ გუდამაყრის საჯარო სკოლა

მისამართი: სოფელი გუდამაყარი

ტელეფონი: 557 60-77-73

საიდენტიფიკაციო კოდი: 229322300

დირექტორი

ხელშეკრულების საგნის აღწერა

N	საქონლისდასახელება	ერთეულისფასი
1	აზოტმჟავა (HNO_3), კონცენტრირებული 100 მლ	7.23
2	ბარიუმის ქლორიდი ($BaCl_2$) 10 გრ	2
3	ეთილის სპირტი (C_2H_5OH), 96%-იანი 100 მლ	0.81
4	ფოსფორმჟავა (H_3PO_4), 10%-იანი ხსნარი 50 მლ	2.5
5	გლუკოზა ($C_6H_{12}O_6$) 20 გრ	1
6	გოგირდმჟავა ($H2SO_4$), კონცენტრირებული 100 მლ	12.13
7	კალციუმის კარბონატი ($CaCO_3$), მარმარილოს ნატეხები 100 გრ	1.5
8	კალციუმის ოქსიდი (CaO) 80 გრ	1.64
9	მარილმჟავა (HCl), 10%-იანი ხსნარი 100 მლ	6.39
10	ნატრიუმის ჰიდროკარბონატი ($NaHCO_3$) 50 გრ	2.62
11	ნატრიუმის ჰიდროქსიდი (NaOH), გრანულები 80 გრ	1.6
12	ნატრიუმის ნიტრატი ($NaNO_3$) 50 გრ	0.4
13	ნატრიუმის ქლორიდი (NaCl) 80 გრ	1.87
14	სპილენძის სულფატი, კრისტალჰიდრატი ($CuSO_4 \cdot 5H_2O$) 80 გრ	2.23
15	თუთია, გრანულები (Zn) 20 გრ	7.93
16	ვერცხლის ნიტრატი ($AgNO_3$) 50 მლ	36.65
17	წყალბადის ზეჟანგი (H_2O_2) 50 მლ	4.6
18	ძმარმჟავა (CH_3COOH), 10%-იანი ხსნარი 100 მლ	5.28
19	გოგირდი (S) 50 გრ	4.77
20	ნატრიუმისსულფატი 50 გრ	1.5
21	რკინა (Fe), ნაჭრები 25 გრ	1.23
22	ხისნახშირი (C), ნატეხები 25 გრ	0.12
23	კომპლექტი ფარაონის გველის ცდის ჩასატარებლად	14
24	წიგნი "სასკოლო ქიმიური ცდების მეთოდიკები"	10
	ჯამი	130

მიღება-ჩაბარების აქტი №

ქ. დუშეთი. 7. 12. 2016 წ.

ჩვენ ქვემო ხელის მომწერნი ერთის მხრივ შემსყიდველი სსიპ სოფელ გუდამაყრის საჯარო სკოლა

დირექტორი ქ. ნაკუდაშვილი, ხოლო მეორეს მხრივ შპს“GT Group”.

მხარეთა შორის 5. 12 2016 წელსგაფორმებული №ხელშეკრულების

შესაბამისად, ამ აქტით ვადასტურებთ ,რომ მიმწოდებელმა გადასცა ხოლო შემსყიდველმა მიიღო შემდეგი სახის

	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	ქიმიური რეაქტივები სკოლის ლაბორატორიისთვის	1	120 ლარი	120 ლარი
2	წიგნი "სასკოლო ქიმიური ცდების მეთოდიკები"	1	10	10 ლარი
				130 ლარი

მივიღე ქ. ნიკ...

ჩავაბარე

სსიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდამაყრის საჯარო სკოლა
LEPL DUSHETI MUNICIPALITY PUBLIC SCHOOL OF VILLAGE GUDAMAKIRI
229322300

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს "GT Group" LTD GEORGIA
GT GROUP
401975190